რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ
2010 წლის 1. . ივლისს
რეგისტრაციის № . . . . . .

ფონდი

„ლიბერალური აკადემია - თბილისი"

წ ე ს დ ე ბ ა

2010 წელი

ფონდი „ლიბერალური აკადემია - თბილისი"

წესდება

მუხლი 1
<u>ზოგადი დებულებები</u>

1.1 ფონდი „ლიბერალური აკადემია - თბილისი" (შემდგომში „*ფონდი*") არის არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ლიბერალური განათლების, დიალოგისა და პოლიტიკის ხელშეწყობა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. *ფონდის* სრული სახელწოდებაა:

ქართულად: ფონდი „ლიბერალური აკადემია- თბილისი"

ინგლისურად: The Foundation "Liberal Academy – Tbilisi".

1.2 ფონდის იურიდიული მისამართია ჭოველიძის ქუჩა № 10, 0108, თბილისი, საქართველო. თავისი მიზნების განსახორციელებლად *ფონდს* უფლება აქვს იქონიოს ფილიალები ნებისმიერ სხვა ადგილას საქართველოში ან/და მის ფარგლებს გარეთ.

1.3 *ფონდის* საგადასახადო წელი დაიწყება 1 იანვარს და დასრულდება ყოველი წლის 31 დეკემბერს.

1.4 *ფონდი* წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.5 *ფონდი* არ არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია და არ ჰყავს წევრები.

1.6 *ფონდი* შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.7 *ფონდი* ახორციელებს თავის საქმიანობას წინამდებარე წესდების, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის თანახმად.

მუხლი 2
<u>საქმიანობა</u>

2.1 ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში ისეთი ძირითადი ლიბერალური ფასეულობების განვითარებას, როგორებიც არის თავისუფლება და პასუხისმგებლობა, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკა, ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის მშენებლობა, ლიბერალური დემოკრატია და პლურალიზმი, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია, და ამ გზით ხელი შეუწყოს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის

რეგიონში დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

2.2 *ფონდი* თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ. მისი საქმიანობის მიზნობრივ ჯგუფებს ძირითადად შეადგენენ ახალგაზრდა ლიდერები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, ჟურნალისტები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, და ა.შ. ფონდის საქმიანობა განხორციელდება შემდეგი ფორმატით:

- საგანმანათლებლო სემინარები;
- ტრეინინგები;
- კონფერენციები;
- საექსპერტო შეხვედრები;
- რჩევები და კონსულტაციები;
- რეგიონალური და საერთაშორისო დიალოგები;
- სასწავლო მივლინებები რეგიონში და საზღვარგარეთ;
- ბეჭდვითი და ელექტრონული პუბლიკაციები (ბროშურები, წიგნები);
- კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა;
- ადვოკატირება;
- და სხვა.

2.3 თავისი მიზნების განხორციელებისათვის *ფონდს* უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით:

ა) შეიძინოს, საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიიღოს, იჯარით აიღოს, ფლობდეს, მართოს, გაცვალოს და გაასხვისოს უძრავი, მოძრავი ან ნებისმიერი სახის, მატერიალური ან არამატერიალური, ან სხვა სახის ქონება, სადაც არ უნდა იყოს განლაგებული იგი;

ბ) ფონდის მიზნებისათვის შეიძინოს ან აწარმოოს ნებისმერი სახის საქონელი, განახორციელოს მისი ექსპორტი ან იმპორტი, გაავრცელოს ლიტერატურა, ისევე როგორც სხვა სახის დაბეჭდილი, აუდიო და ვიდეო მასალა და სხვა, მისი მიზნებისთვის საჭირო პროდუქცია;

გ) დადოს და შეასრულოს ნებისმიერი კონტრაქტი, ხელშეკრულება და ვალდებულებები ნებისმიერი კანონიერი მიზნისათვის ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ან სამთავრობო ორგანიზაციასთან;

დ) გახსნას და იქონიოს საბანკო ანგარიშები ქართული ლარში ან უცხოურ ვალუტაში, დააბანდოს და ინვესტირება გაუკეთოს თანხებს ან სხვა ნებისმიერი სახის ფასეულობებს;

ე) მოიძიოს, ისესხოს და მიიღოს თანხები, გრანტები და შემოწირულობანი ნებისმიერი კანონიერი წყაროდან და გამოიყენოს და გასცეს ეს თანხები, გრანტები და შენატანები *ფონდის* მიზნების შესაბამისად;

ვ) ჩაებას ეკონომიკურ საქმიანობაში თავისი მიზნების მისაღწევად;

ზ) განახორციელოს ფონდისთვის კანონით ნებადართული ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც საჭირო, მიზანშეწონილი და/ან შესაფერისი იქნება *ფონდის* მიზნების მიღწევისა და მისი სათანადოდ ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 3
<u>შენატანები</u>

3.1. *ფონდის* მიზნების განხორციელების, წესდების მე-2 მუხლში მითითებული ქმედებების შესრულების და დასახული მიზნების მიღწევისათვის, *დამფუძნებელი* ერთი თვის ვადაში *ფონდის* რეგისტრაციის თარიღიდან გადარიცხავს *ფონდის* საბანკო ანგარიშზე 10 000 (ათი ათასი) ევროს ექვივალენტ თანხას ქართულ ლარში.

3.2. *ფონდში* დამატებითი შენატანი ან შემოწირულობა მიიღება ნებისმიერი ოდენობით და ფორმით.

მუხლი 4
<u>დამფუძნებელი</u>

4.1. *ფონდის* დამფუძნებელია ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1978 წლის 21 აგვისტოს, ქ. ქუთაისში, პირადობის მოწმობის № ა0523177, პირადი № 60001001002, მცხოვრები ქ. თბილისში, მისამართზე საირმის ქ. №33, ბინა 4, პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი (შემდგომში „*დამფუძნებელი*“);

4.2. *ფონდის დამფუძნებლის* უფლებამოსილებები და ფუნქციები მოიცავს შემდეგს:

ა) ფონდის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა;
ბ) ფონდის გამგეობის წევრების დანიშვნა;
გ) ფონდის მიზნების შეცვლა;
დ) ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა და მასში ცვლილებების შეტანა;
ე) გადაწყვეტილების მიღება *ფონდის* ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის და მისი განხორციელების წესის შესახებ;
ვ) ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რომელიც ფონდის დამფუძნებელს ენიჭება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 იმ შემთხვევაში, როდესაც *დამფუძნებელს* ნებისმიერი მიზეზით არ ძალუძს თავისი, როგორც *დამფუძნებლის,* უფლებამოსილების განხორციელება, იგი წერილობით დანიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც შემდგომში გადაეცემა მისი უფლებები და ვალდებულებები. ამგვარი პირის დანიშვნა განხორციელდება *დამფუძნებლის* ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე და დანიშვნის შემდგომ მას უფლება ექნება განახორციელოს წინამდებარე *წესდებით* გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება, რომლის განხორციელებაც ნებადართულია *დამფუძნებლის* მიერ.

მუხლი 5
<u>გამგეობა</u>

5.1 *ფონდის* ხელმძღვანელი ორგანოა 3 წევრისგან შემდგარი გამგეობა. რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ამ წესდების შესაბამისად.\

5.2 *ფონდის დამფუძნებელი* არის გამგეობის მუდმივი წევრი. გამგეობის დანარჩენ ორ წევრს ერთი წლის ვადით ნიშნავს დამფუძნებელი. გამგეობის წევრად

შეიძლება დაინიშნოს 25 წელს მიღწეული პირი, მოქალაქეობრივი სტატუსის შეუზღუდავად.

5.3 გამგეობის წევრები არიან:

- *მუდმივი წევრი* - ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1978 წლის 21 აგვისტოს, ქ. ქუთაისში, პირადობის მოწმობის № ა0523177, პირადი № 60001001002, მცხოვრები ქ. თბილისში, მისამართზე საირმის ქ. №33, ბინა 4, პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი.
- *დანიშნული წევრი* – კობა თურმანიძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1970 წლის 2 დეკემბერს, ქ. საჩხერეში, პირადობის მოწმობის № ა0210178, პირადი № 38001004513, მცხოვრები ქ. თბილისში, მისამართზე პეკინის 43, ბინა 29, პროფესიით პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტი.
- *დანიშნული წევრი* – ლაშა ტუღუში, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1964 წლის 23 იანვარს, ქ. თბილისსში, საქართველოს მოქალაქის პასპორტის № 07AF52568, პირადი ნომერი № 01018002674, მცხოვრები ქ. თბილისსში, მისამართზე ხოშტარიას ქ. 3, პროფესიით ჟურნალისტი.

5.4 გამგეობის მორიგი სხდომა იმართება ორ თვეში ერთხელ მაინც, რომელსაც იწვევს და უძღვება ფონდის დირექტორი. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ფონდის დირექტორის ან გამგეობის სხვა ნებისმიერი წევრის მიერ განსაზღვრული დღისწესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

5.5 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. გამგეობა უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება არა ნაკლებ ორი წევრი.

5.6 გამგეობა:

ა) გამგეობის წევრთაგან სახელობითი კენჭისყრით ირჩევს ფონდის დირექტორს;
ბ) ამტკიცებს ფონდის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;
გ) ამტკიცებს ფონდის საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშებს;
დ) წყვეტს ფონდის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;
ე) ადგენს ფონდის თანამშრომელთა საშტატო და სახელფასო ნუსხას;
ვ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
ზ) დირექტორის წარდგინებით იღებსგადაწყვეტილებებს ფონდის ფილიალების შექმნისა და გაუქმებისშესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
თ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

5.7 გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ საკითხზე, მხოლოდ *დამფუძნებლის* წერილობით თანხმობით:

ა) დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს *ფონდის* უძრავი ან მოძრავი ქონება;

ბ) ვალად აიღოს თანხები *ფონდის* სახელით ან სხვაგვარად, რათა შესაძლებლობა მიეცეს *ფონდს* დადოს ნებისმიერი ხელშეკრულება როგორც მსესხებელმა, თანამსესხებელმა, გამსესხებელმა ან თავდებმა;

გ) გაყიდოს, გადასცეს ან გაასხვისოს ნებისმიერი უძრავი ან მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის *ფონდს*;

დ) გააფორმოს ხელშეკრულება ან განახორციელოს სხვა ნებისმიერი სახის ისეთი კორპორაციული მოქმედება, რომლის ღირებულება აღემატება 100 000 (ასი ათას) აშშ დოლარს;

ე) გაყიდოს *ფონდის* ქონება მთლიანად, ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

5.8. გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება, უფლებამოსილების ვადის გასვლით, საკუთარი განცხადებით, გარდაცვალებით ან დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. დამფუძნებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი გამგეობის წევრს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება, თუ ის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების, ან სხვა მიზეზთა გამო 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ მონაწილეობს გამგეობის საქმიანობაში.

5.9. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში დამფუძნებელი ნიშნავს გამგეობის ახალ წევრს.

მუხლი 6
<u>დირექტორი</u>

6.1. დირექტორი არის ფონდის მმართველი და წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში. იგი თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთპიროვნულად და შეუზღუდავად.

6.2. ფონდის დირექტორს საკუთარი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით ირჩევს გამგეობა.

6.3. დირექტორი:

ა) წარმართავს ფონდის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას, იწვევს და უძღვება მის სხდომებს;

გ) წარმოადგენს ფონდს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) პასუხისმგებელია ფონდის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვაზე;

ვ) ხელს აწერს ფონდის ოფიციალურ დოკუმენტებს;

ზ) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

თ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

6.4. დირექტორს უფლებამოსილება უწყდება, საკუთარი განცხადებით ან უფლებამოსილების ვადის ამოწურვით. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 15 დღის ვადაში გამგეობა ირჩევს ახალ დირექტორს.

6.5. დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციები შეიძლება შეასრულოს გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა დირექტორის დავალებით.

მუხლი 7
მრჩეველთა საბჭო

7.1 ფონდის საკონსულტაცო ორგანოა არანაკლებ 5 წევრისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო. რომელიც გამგეობას და დირექტორს ეხმარება ფონდის მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებეის მიღებაში.

7.2. მრჩეველთა საბჭოს წევრებს 1 წლის ვადით ირჩევს გამგეობა. მრჩეველთა საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი მოქალაქეობრივი სტატუსის შეუზღუდავად.

7.3. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება გამგეობის დადგენილებით.

7.4. მრჩეველთა საბჭო მოიწვევა გამგეობის ან დირექტორის ინიციატივით.

7.5. მრჩეველთა საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვით ან საკუთარი განცხადებით. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში გამგეობა იჩევს მრჩეველთა საბჭოს ახალ წევრს.

მუხლი 8
ფონდის ქონება

8.1. *ფონდი* უფლებამოსილია საკუთრებაში ჰქონდეს ან ისარგებლოს ნებისმიერი სახის მოძრავი თუ უძრავი ქონებით, რაც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. *ფონდის* ქონება და მისი კუთვნილი თანხები შედგება *დამფუძნებლის* მიერ ზემოთაღნიშნული რაოდენობით განხორციელებული საწყისი შენატანისა და აგრეთვე სხვა უძრავი და მოძრავი ქონებისგან, რომელიც *ფონდმა* შემდგომში შეიძინა, მიიღო შემოწირულობის თუ გრანტის სახით, საჩუქრად, მემკვიდრეობით ან ისესხა, ასევე სხვა შემოსავლისგან, რომელიც საჭიროა *ფონდის* არსებობისა და მისი მიზნების განხორციელებისათვის და რომელიც არ განაწილდება *ფონდის* დამფუძნებელს, გამგეობის წევრებს ან ფონდის შემომწირველებს შორის.

8.3. *ფონდის* ქონება და შემოსავალი გამოიყენება მხოლოდ *ფონდის* მიზნებისთვის, თანახმად ზემოთმოცემულ მე-2 მუხლისა.

მუხლი 9
ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

9.1. *ფონდის* რეორგანიზაცია (შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

9.2 *ფონდის* შესაძლოა ლიკვიდირებულ იქნას ნებაყოფლობით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.3 *ფონდის* ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.

9.4 *ფონდის* ლიკვიდაციისას, ფონდის ვალებისა და ვალდებულებების დაფარვის შემდეგ, ფონდის დარჩენილი ქონებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრებიან ფონდის გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 10
ცვლილება წესდებაში

წინამდებარე *წესდებაში* შეტანილი არც ერთი ცვლილება არ შევა ძალაში დამფუძნებლის მიერ მისი წერილობით დამტკიცებისა და მარეგისტრირებელ ორგანოში მისი სათანადო რეგისტრაციის გარეშე.

მუხლი 11
ინტერპრეტაცია

წინამდებარე *წესდების* ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ეჭვსა და კითხვას გადაწყვეტს *დამფუძნებელი*, თუკი ამას სხვაგვარად არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 12
ენა

წინამდებარე *წესდება* ხელმოწერილია ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად.

დამფუძნებელი

ქეთევან ციხელაშვილი

გამგეობის წევრები:

კობა თურმანიძე

ლაშა ტუღუში